# საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია

108-03-02-2-201601151203

GRASS REFORMANDA
აარპ „საქართველოს რეფორმების ასოციაცია"
წერილის რეგისტრაციის № 18
თარიღი: 18 01 2016 წ.

N 03-02/108
15/01/2016

ფაქტ-მეტრის მთავარ რედაქტორს
,,საქართველოს რეფორმების ასოციაციის (GRASS) დირექტორის მოადგილეს
პაატა გაფრინდაშვილს

ბატონო პაატა,

თქვენი 2016 წლის 12 იანვრის №15 წერილის (ცესკოში რეგ. №75; 14.01.2016) პასუხად, გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ საარჩევნო სუბიექტების (პარტია, ბლოკი, საინიციატივო ჯგუფები, მაჟორიტარი კანდიდატები) სარეგისტრაციო დოკუმენტაცია და მათი რეგისტრაციის შესახებ შესაბამისი სამართლებრივი აქტები, საქართველოს საარჩევნო კანონმდებლობის შესაბამისად წარმოადგენს საჯარო ინფორმაციას.
ამასთანავე აღსანიშნავია, რომ ცესკოდან თქვენდამი გამოგზავნილი წერილით, თქვენ უკვე გეცნობათ, რომ საქართველოს მთავარ პროკურატურას ცესკოდან არ გამოუთხოვია ბატონი ალექსანდრე ელისაშვილის დეპუტატობის კანდიდატად წარმდგენი საინიციატივო ჯგუფის წევრთა შესახებ ინფორმაცია.
ამავდროულად გაცნობებთ, რომ საქართველოს მთავარ პროკურატურას, ასევე არ გამოუთხოვია ცესკოდან, ბატონი ალექსანდრე ელისაშვილის, როგორც მაჟორიტარი კანდიდატის სარეგისტრაციო დოკუმენტაცია.
შესაბამისად გაცნობებთ, რომ მთავარი პროკურატურის მიერ მოთხოვნილი იყო, საჯარო ინფორმაცია ბატონი ალექსანდრე ელისაშვილის კანდიდატად რეგისტრაციის შესახებ კომისიაში განცხადებით მომართვის ვადისა და მისი რეგისტრაციაში გატარების ვადის შესახებ. აღნიშნულის თაობაზე წერილობითი მომართვის პასუხად, ასევე ინფორმირებული იქნა ბატონი ალექსანდრე ელისაშვილიც.

პატივისცემით,
გიორგი ჯავახიშვილი

კომისიის მდივანი - საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფასა და ინფორმაციის პროაქტიულ გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელი პირი


დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-13 კმ, 0131, თბილისი, საქართველო
www.cesko.ge correspodence@cec.gov.ge
(995 32) 2 510051